cs.cart

თიბისი გადახდები

# თიბისი გადახდის მოდულის მართვის ინსტრუქცია ადმინისტრატორებისთვის

მას შემდეგ, რაც cscart.ge ვებ-გვერდიდან გადმოიწერთ „თიბისი გადახდის“ მოდულს და მითითებულ ელ.ფოსტაზე ან თქვენი პროფილის შეკვეთების დეტალებში იხილავთ მოდულის ჩამოსატვირთ ბმულს და ლიცენზიის გასაღებს, აუცილებელია ონლაინ მაღაზიის ადმინ პანელიდან მისი ინსტალაცია მოდულების გარემოში **add-ons>>Manage add-ons** (იხილეთ ვიდეო ტუტორიალი ჩვენს **ვებგვერდზე)**.

მოდულის ინსტალაციისთვის დააკლიკეთ  ღილაკს და ატვირთეთ ფაილი. რის შემდეგაც, იგივე სივრცეში ძიების დახმარებით მოიძიებთ “თიბისი გადახდები” , გაწერთ ლიცენზიის გასაღებს და გააქტიურებთ მოდულს - „ჩართული“




შემდეგ ეტაპზე, გადადით გადახდის არხების გარემოში **administration>>Payment methods,**




 ღილაკზე გადახდის მეთოდის დამატების შემდეგ, მიუთითეთ სასურველი დასახელება და პროცესორის ველში აირჩიეთ “ TBCPayments“



აქვე ატვირთეთ ბანკის ლოგო




რის შემდეგაც, შეგიძლიათ გადახვიდეთ არხის კონფიგურაციაზე ,




სადაც აუცილებელია ბანკიდან მიღებული პარამეტრების გაწერა:
Client ID
Client Secret
ApiKey

გარდა ამისა, მოდულის კონფიგურაციაში ავტომატურად აისახება უკუკავშირის ბმული(Callback URL) https://თქვენიდომენი/index.php?dispatch=tpay.callback , რომელიც აუცილებლად უნდა მიაწოდოთ ბანკს.



დამატებით შეგიძლიათ გააქტიუროთ სხვადასხვა ფუნქციონალი:

1. ინტერფეისის ენას: (ქართული, ინგლისური, რუსული)
2. გადახდის მეთოდის ტიპი: ავტორიზაცია თუ პრე-ავტორიზაცია - თანხის ბლოკირების ფუნქცია)!!! მოითხოვს დამატებით დამოწმების ოპერაციას
3. ბარათის დამახსოვრების ფუნცია (Recurring)
4. ტრანზაქციის შედეგის ჩვენება ბანკის გვერდზე




დამატებით შეგიძლიათ გააქტიუროთ სასურველი გადახდის მეთოდები, რაც შესაძლებელია გააქტიუროთ ბანკის მიერ მოწოდებული სამართავი პანელიდან ან წინასწარ უნდა შეათანხმოთ ბანკთან, რათა მათი მხრიდან მოხდეს სერვისის გააქტიურება.

1. QR - კოდით
2. ბარათით
3. ერთგული ქულებით
4. ინტერნეტ ბანკინგით
5. განვადებით
6. Apple Pay მეთოდით




შემდეგ სივრცეში აუცილებელია ბანკის და თქვენი სისტემური სტატუსების შესაბამისობის გაწერა:









და ბოლოს შეინახეთ კონფიგურაცია.




გააქტიურეთ გადახდის არხი და შეგიძლიათ უკვე მიიღოთ პირველი შეკვეთები.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ Sales@cscart.ge  ან დაგვიკავშირდით ოფისის ნომერზე -  2 48 70 90